საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა

(UPR) 2026

რეკომენდაციები საქართველოსთვის

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) 2026

რეკომენდაციები საქართველოსთვის

თბილისი
2026

დოკუმენტი შექმნილია გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სხდომის ტრანსლირებაზე დაკვირვების შედეგად.

გამოცემის ხელმძღვანელი: თამარ ონიანი

დოკუმენტზე მუშაობდა: იოსებ ედიშერაშვილი

მადლობას ვუხდით მარიამ ჯიქიძეს დოკუმენტის მომზადებაში შეტანილი წვლილისთვის.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ჯ. კახიძის ქ. №15, თბილისი, საქართველო

(+995 32) 295 23 53, 293 61 01

www.gyla.ge

© 2026, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

შესავალი

უნივერსალური პერიოდული მიმოხილვა (UPR) ადამიანის უფლებათა საბჭოს ერთ-ერთი მძლავრი საზედამხედველო მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც, საბჭოს აქვს მანდატი, პერიოდულად, ე.წ. „ციკლურად“ შეამოწმოს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა გაეროს ყველა წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე.

UPR აფასებს, რამდენად სცემენ სახელმწიფოები პატივს ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებებს, რომლებიც განსაზღვრულია: (1) გაეროს წესდებით; (2) ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით; (3) ადამიანის უფლებათა ინსტრუმენტებით, რომელთა მხარეც სახელმწიფოა (ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებები, რატიფიცირებული შესაბამისი სახელმწიფოს მიერ); (4) სახელმწიფოს მიერ აღებული ნებაყოფლობითი დაპირებებით და ვალდებულებებით (მაგალითად, ადამიანის უფლებების დაცვის ეროვნული პოლიტიკა და/ან განხორციელებული პროგრამები); (5) მოქმედი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლით.[1]

UPR მიმოხილვას ახორციელებს UPR-ის სამუშაო ჯგუფი (UPR WG), რომელიც შედგება ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრი 47 სახელმწიფოსგან. UPR WG იკრიბება წელიწადში სამჯერ (იანვარში, მაისსა და ნოემბერში) ჟენევაში (შვეიცარია). თითოეული ქვეყნის განხილვაში მონაწილეობს სამი სახელმწიფოსგან შემდგარი ჯგუფი. ამ სახელმწიფოებს მომხსენებლების როლი აკისრიათ. ისინი თითოეული ქვეყნისთვის შეირჩევიან წილისყრით. განხილვა წარმოებს სახელმწიფოსა და გაეროს სხვა წევრ ქვეყნებს შორის ინტერაქციული დისკუსიის გზით. გაეროს ნებისმიერ წევრ ქვეყანას შეუძლია დაუსვას კითხვები და/ან წარუდგინოს რეკომენდაციები განხილვის ციკლში მოქცეულ სახელმწიფოებს. WG-ის სესიები ასევე ხელმისაწვდომია ონლაინ (UN Webcast). უკლებლივ ყველა მიღებული რეკომენდაცია აისახება სამუშაო ჯგუფის საბოლოო ანგარიშში, რომელიც ქვეყნდება ჯგუფის სხდომის დასრულებისას.

განხილვის ქვეშ მყოფმა სახელმწიფოებმა უნდა გამოხატონ პოზიცია („მხარი დაუჭირონ“ ან „აღნიშნონ“) UPR-ის ყველა რეკომენდაციასთან დაკავშირებით. სამუშაო ჯგუფის სხდომის დასრულებიდან დაახლოებით ექვს თვეში UPR-ის განხილვის შედეგები ადამიანის უფლებათა საბჭოს პლენარულ სხდომაზე დასამტკიცებლად გამოდის.

საქართველო და უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის მე-4 ციკლი

2026 წლის 26 იანვარს ჩატარდა საქართველოსთან დაკავშირებული უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის სესია. მასში მონაწილე 106-მა ქვეყანამ წარმოადგინა რეკომენდაციები საქართველოში უფლებრივი მდგომარეობის შესახებ. ქვემოთ იხილეთ რეკომენდაციები (თარგმნილია ინგლისურიდან), რომლებიც მომზადებულია საჯარო განხილვისას სახელმწიფოების მიერ წარმოთქმულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით.

[1] დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. OHCHR: Basic Facts about the UPR, https://www.ohchr.org/en/hr-bodies/upr/basic-facts#:%7E:text=The%20UPR%20will%20assess%20the,4)%20voluntary%20pledges%20and%20commitments, [05.02.2026].

სახელმწიფო	რეკომენდაცია
ლუქსემბურგი	1. გაუქმდეს გამოხატვის, შეკრების, გაერთიანების და პრესის თავისუფლებასთან დაკავშირებით ყველა ბარიერი. უზრუნველყოფილი იყოს, რომ ჟურნალისტებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა თავიანთი საქმიანობა განახორციელონ უსაფრთხოდ და თავისუფლად. 2. გაძლიერდეს ქმედებები დისკრიმინაციასა და სიძულვილის ენასთან ბრძოლაში, ასევე, უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების მიმართ სიძულვილის აქტების წინააღმდეგ, მათ შორის, მიგრანტების, შშმ პირების, ლგბტქ+ და ლტოლვილების მიმართ. 3. გაძლიერდეს ქალთა უფლებები, განსაკუთრებით, სექსუალური და რეპროდუქციული უფლებების მხრივ. 4. გაძლიერდეს ბავშვთა უფლებები, განსაკუთრებით, ინკლუზიური განათლების მხრივ, რომა ხალხის ჩართულობით.
მალავი	1. განხორციელდეს იძულებით გაუჩინარებულ პირთა დაცვის კონვენციის რატიფიკაცია. 2. გაგრძელდეს ქმედებები შშმ პირების დაცვის მიზნით. 3. გაძლიერდეს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვა, საერთაშორისო ხელშეკრულებების სტანდარტების მიხედვით.
მალაიზია	1. გაძლიერდეს ჯანდაცვის სერვისებზე წვდომა ინკლუზიურობის და ხელმისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით, განსაკუთრებით, მოწყვლადი ჯგუფებისთვის. 2. გაგრძელდეს აქტივობები შშმ პირების სოციალური ინკლუზიის მისაღწევად. 3. გაძლიერდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ზომები.
მალდივები	1. გაფართოვდეს დასაქმების სექტორში გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ზომები, გენდერული ანაზღაურების სხვაობის შემცირებაზე ფოკუსირებით. 2. გაძლიერდეს ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა ყველა დონეზე, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების სრული მონაწილეობის უზრუნველყოფით.
მალტა	1. განხორციელდეს ყველა პირის იძულებითი გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. 2. გაუქმდეს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონში შემავალი ანტი-ლგბტქ+ დებულებები. 3. უზრუნველყოფილი იყოს ადამიანის უფლებათა დამცველი ჯგუფების უსაფრთხოება და გაუქმდეს უცხოელი აგენტების შესახებ კანონების შემზღუდავი დებულებები.
მარშალის კუნძულები	1. დაიწყოს ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმების შესახებ ოტავას კონვენციის რატიფიცირების განხილვა. 2. გაძლიერდეს და სათანადოდ დაფინანსდეს ჟურნალისტების, ასევე ადამიანის უფლებათა დამცველების დაცვის ეროვნული სისტემები, მათ წინააღმდეგ თავდასხმების ეფექტიანი პრევენციისა და გამოძიების მიზნით. 3. გაგრძელდეს ძალისხმევა ყველა ქალისა და გოგონასთვის, განსაკუთრებით, სოფლად მაცხოვრებლებისთვის, განათლებაზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით. 4. დაინერგოს ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა.
მავრიკი	1. გაძლიერდეს ზომები ადამიანის უფლებათა დამცველების, დაუცველი ჯგუფებისა და სამოქალაქო საზოგადოების მიმართ სიძულვილის ენის, სტიგმატიზაციის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიზნით. შემუშავდეს პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით.

მექსიკა	1. განხორციელდეს სპეციალიზებული სასწავლო პროგრამები კომპეტენტური ორგანოებისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული სამოქმედო გეგმის სათანადო შესრულება. 2. გაუქმდეს კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, გატარდეს შესაბამისი ზომები ლგბტქ+ პირების მიმართ დისკრიმინაციის, სტიგმატიზაციისა და ძალადობის აღმოსაფხვრელად. 3. გატარდეს ზომები საჯარო პროტესტების კონტექსტში თვითნებური დაკავებებისა და ძალის არასაჭირო, არაპროპორციული გამოყენების თავიდან ასაცილებლად, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
მონღოლეთი	1. გაძლიერდეს ქალთა სრული და თანაბარი მონაწილეობის ხელშეწყობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის შესაფერისი გარემო.
მონტენეგრო	1. გაძლიერდეს გენდერული ძალადობის, განსაკუთრებით, ფემიციდის პრევენციისა და მასთან ბრძოლის ღონისძიებები, ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ოჯახური და სექსუალური ძალადობის ეფექტიანად გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით. 2. უზრუნველყოფილი იყოს ეროვნული პრევენციული მექანიზმის შეუზღუდავი წვდომა დაკავების ყველა დაწესებულებასა და ინფორმაციაზე, ხოლო ადამიანები დაცულნი იყვნენ დაშინებისა და ჩარევისგან.
მაროკო	1. გამოიყოს ადეკვატური ფინანსური რესურსები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ეროვნული სტრატეგიების განსახორციელებლად. 2. გაძლიერდეს ძალადობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების დახმარების სერვისები.
ნეპალი	1. გაგრძელდეს ზომების მიღება გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის, გენდერული ძალადობის აღმოფხვრისა და ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა მონაწილეობის გაძლიერების მიზნით. 2. გაძლიერდეს ზომები ხარისხიან განათლებაზე უნივერსალური წვდომის უზრუნველსაყოფად ყველასთვის, მათ შორის, მიგრანტებისთვის, ქალების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის.
ნიდერლანდები	1. უზრუნველყოფილი იყოს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გადაჭარბებული გამოყენების ყველა შემთხვევის დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიება. შეიქმნას კონკრეტული გარანტიები მომავალში მსგავსი დარღვევების თავიდან ასაცილებლად. 2. უზრუნველყოფილი იყოს მშვიდობიანი შეკრების უფლებით სრული სარგებლობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა ჯგუფის უსაფრთხო და შინაარსიანი მონაწილეობით.
ახალი ზელანდია	1. განხორციელდეს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის ყველა რეკომენდაცია, რომლებიც საქართველოს 2024 წლის ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებულ ანგარიშშია მოცემული. 2. გაუქმდეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონმდებლობა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონი, რომლებიც გავლენას ახდენს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე. ასევე გაუქმდეს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონმდებლობა, რომელიც მკვეთრად ზღუდავს ლგბტქი+ თემის წევრების უფლებებს.

ნაიგერი	1. ბავშვთა ქორწინებისა და იძულებითი ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, გაიწეროს ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც, განსაკუთრებით, მოიცავს მრავალსექტორული პრევენციული ზომების მიღებას, მათ შორის, იძულებითი ქორწინების ყველა ფორმისთვის სასჯელის გამკაცრებას და შესაბამის პასუხისმგებლობას, ასევე, სახელმწიფო უწყებებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის კოორდინირებული მხარდაჭერის უზრუნველყოფას.
ნიგერია	1. საქართველომ გააძლიეროს სპეციალიზებული ტრენინგები და ჩამოაყალიბოს მსხვერპლის დაცვის პროტოკოლები, რათა გაიზარდოს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობები ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად. 2. გაძლიერდეს ძალისხმევა რასიზმის, ქსენოფობიის, სიძულვილის ენის პრევენციის და მასთან ბრძოლის მიმართულებით. 3. უზრუნველყოფილი იყოს მიგრანტების უფლებების დაცვა და ხელშეწყობა, სამართლიანობაზე წვდომა, დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისგან მათი დაცვა.
ჩრდილოეთ მაკედონია	1. გაძლიერდეს ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ფიზიკური დასჯის პრევენცია და მასზე რეაგირება. მსხვერპლთათვის უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულებისა და სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე ეფექტიანი წვდომა. 2. ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის პრევენციის, ასევე მასთან ბრძოლის მიზნით, გაძლიერდეს საკანონმდებლო პოლიტიკა და გატარდეს შესაბამისი ინსტიტუციური ზომები.
ნორვეგია	1. საქართველომ დაუყოვნებლივ და უპირობოდ გაათავისუფლოს უსამართლოდ დაპატიმრებული ყველა პირი, ჩაატაროს სწრაფი გამოძიება მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გადაჭარბებული გამოყენების ფაქტებზე, დაიცვას მშვიდობიანი შეკრებისა და პროტესტის უფლება. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოებისთვის, რათა მათ განახორციელონ ლეგიტიმური საქმიანობა დაშინების, შურისძიების ან გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე. 3. გაუქმდეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ კანონი, უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონი და გრანტების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები. ასევე, სახელმწიფომ უკან გაიწვიოს პოლიტიკური პარტიების აკრძალვის შესახებ საჩივარი. 4. გაუქმდეს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონი. გატარდეს ზომები ლგბტქ+ თემის უფლებების დასაცავად, მათ მიმართ ძალადობის და სიძულვილის ენის აღსაკვეთად.
ომანი	1. გაძლიერდეს ბავშვის უფლებების დაცვის ხელშეწყობა ციფრულ სივრცეში, ასევე, უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ტექნოლოგიების გონივრული გამოყენება ბავშვის ინტერესების დასაცავად. 2. გაგრძელდეს ადამიანის უფლებების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება და მისი მიზნების ხელშესახებ ღონისძიებებად გარდაქმნა, რაც გააუმჯობესებს ადამიანების მდგომარეობას. 3. გაგრძელდეს ძალისხმევა სასჯელაღსრულების დაწესებულებების რეაბილიტაციის, პატიმრების გათავისუფლების შემდგომი ეტაპებისთვის სათანადო მომზადებისა და საზოგადოებაში მათი შეუფერხებელი ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად.
პაკისტანი	1. გაგრძელდეს ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა, პასუხისმგებლობის უზრუნველყოფის მიზნით. 2. საქართველომ განიხილოს ქრონიკული დაავადებების მართვის პროგრამით გათვალისწინებული მედიკამენტების სპექტრის გაფართოება, რათა გაძლიერდეს ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი შესაძლო სტანდარტის ხელმისაწვდომობა.

პარაგვაი	1. საქართველომ განიხილოს მიგრანტი მუშაკებისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის, ასევე, იძულებითი გაუჩინარებისგან პირთა დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციების მიღება. 2. გაძლიერდეს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისკენ მიმართული ქმედებები, ასევე, მსხვერპლთა დაცვისა და მხარდაჭერის მექანიზმები. 3. გაძლიერდეს ბავშვის უფლებების დაცვისა და ამ უფლებების სრული განვითარებისკენ მიმართული პოლიტიკის ინსტიტუციური, ნორმატიული ჩარჩო. 4. გაგრძელდეს ეროვნული სტრატეგიის განხორციელების მექანიზმების, ანგარიშგებისა და შემდგომი ქმედებების გაძლიერება. სახელმწიფომ განიხილოს მომავალში ამ მიმართულებით თანამშრომლობის შესაძლებლობა.
პერუ	1. საქართველომ განიხილოს კანონმდებლობის მიღება განათლების უფლების განსამტკიცებლად, ასევე, გაატაროს ზომები ყველა მოქალაქისთვის ხარისხიან განათლებაზე ეფექტიანი წვდომის უზრუნველსაყოფად. 2. საქართველომ მიიღოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო ბავშვთა მოქალაქეობის არქონის თავიდან ასაცილებლად და მოქალაქეობის არმქონე პირების უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად დისკრიმინაციის გარეშე. 3. გაძლიერდეს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ არსებული სტერეოტიპებისა და ცრურწმენების აღმოსაფხვრელად.
ფილიპინები	1. გაძლიერდეს ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ფემიციდის აღმოფხვრის შესახებ კანონმდებლობა, პოლიტიკა და მექანიზმები. ყურადღება განსაკუთრებულად ფოკუსირდეს სამართლიანობაზე, ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებასა და მსხვერპლთათვის დახმარების სერვისების მიწოდებაზე. 2. დაინერგოს მიზნობრივი განათლების პროგრამები და ტრენინგები პოლიციის თანამშრომლებისთვის, პროკურორებისა და მოსამართლეებისთვის ადამიანის უფლებების შესახებ, რათა სამართალდამცავ ორგანოებსა და მართლმსაჯულების განხორციელებაზე პასუხისმგებელ უწყებებში უფრო მეტად იყოს ინტეგრირებული უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა. 3. საქართველომ განიხილოს მიგრანტი მუშაკების შესახებ კონვენციასთან შეერთების საკითხი.
პოლონეთი	1. საქართველომ გააუქმოს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები, რომლებიც ძირს უთხრის გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლებას. 2. დაიწყოს დამოუკიდებელი გამოძიება ადამიანის უფლებების დარღვევებზე საზოგადოებრივი პროტესტების კონტექსტში, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადაჭარბებული გამოყენების შესახებ. 3. გათავისუფლდეს ყველა ჟურნალისტი, მედიის წარმომადგენელი, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტი და პოლიტიკური ოპოზიციის წევრი, რომლებიც თვითნებურად არიან დაკავებულნი. 4. საქართველომ უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო ადამიანის უფლებათა დამცველების, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და მედიისთვის. 5. გატარდეს ზომები ყველა ბავშვის მიმართ ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად. 6. გაგრძელდეს საერთაშორისო საზოგადოების ძალისხმევის მობილიზება, რათა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში - შესაძლებელი იყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მექანიზმების შეუზღუდავი წვდომის უზრუნველყოფა.

პორტუგალია	1. საქართველომ საერთაშორისო სტანდარტებს შეუსაბამოს კანონმდებლობა და პრაქტიკა გამოხატვის თავისუფლების, მშვიდობიანი შეკრებებისა და სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებლობის დასაცავად. 2. გაგრძელდეს ძალისხმევა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამცველი და ჰუმანიტარული ორგანიზაციების შეუფერხებელი წვდომის უზრუნველსაყოფად, ასევე, იძულებით გადაადგილებულ პირთა უსაფრთხოდ დასაბრუნებლად საქართველოს ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. 3. გაძლიერდეს ძალისხმევა ინკლუზიური, მაღალი ხარისხის და ხელმისაწვდომი ადრეული და ზოგადი განათლების უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლად ან შორეულ რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს, ეთნიკურ უმცირესობებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და ლტოლვილებს.
კატარი	1. გაგრძელდეს ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ინიციატივების ხელშეწყობა და მსხვერპლთა უფლებების დაცვა. 2. საქართველომ განაგრძოს ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, ასევე, ქმედებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად. გააძლიეროს ძალისხმევა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების განათლებისა და მომზადების მიმართულებით. 3. გაგრძელდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები შშმ პირებთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და მათი განხორციელების თაობაზე.
კორეა	1. საქართველომ გასწიოს გონივრული ძალისხმევა გამოხატვის თავისუფლებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების ხელშეწყობის მიზნით, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის ფუნქციონირება გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე. 2. გაგრძელდეს რეფორმები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, მიუკერძოებლობის გასაძლიერებლად და შესაბამისი პროგრესის მისაღწევად. 3. გადაიდგას სათანადო ნაბიჯები იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დასაცავად, განსაკუთრებით, სოციალურ მომსახურებებზე ადეკვატური წვდომის კუთხით.
მოლდოვა	1. საქართველომ გასწიოს დამატებითი ძალისხმევა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად. 2. სახელმწიფომ მიიღოს ზომები გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლების პატივისცემის უზრუნველსაყოფად. 3. საქართველომ განიხილოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დედობის დაცვის კონვენციის, ასევე ძალადობის და შევიწროების შესახებ კონვენციის რატიფიცირება.
რუმინეთი	1. საქართველომ უზრუნველყოს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მომიტინგეებისა და ჟურნალისტების მიმართ არასათანადო მოპყრობის, წამებისა და გადაჭარბებული ძალის გამოყენების ყველა შემთხვევის დაუყოვნებელი, მიუკერძოებელი გამოძიება და ანგარიშვალდებულება. 2. გაგრძელდეს სამართალდამცავი ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოსაძიებლად, მათ შორის – ონლაინ, დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემისა და მსხვერპლთათვის რეპარაციების უზრუნველყოფის მიზნით. 3. გაძლიერდეს ძალისხმევა ქალთა მონაწილეობის გაზრდის კუთხით საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში, ეფექტიანად აღკვეთოს და აღმოიფხვრას ქალების შევიწროებისა და დაშინების შემთხვევები, უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულება და დაცვა.

რუსეთი	1. გაგრძელდეს ადამიანის უფლებათა დაცვის 2022-2030 წლების ეროვნული სტრატეგიის განხორციელება. 2. გატარდეს დამატებითი ზომები მართლმსაჯულების ადმინისტრირების გაუმჯობესების, პოლიციის რეფორმირებისა და კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. 3. გაგრძელდეს მუშაობა დაუცველი ჯგუფების, მათ შორის, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და ხანდაზმულების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საკანონმდებლო დონეზე და პრაქტიკაში. 4. სახელმწიფომ მიიღოს ზომები სასჯელაღსრულების სისტემაში გადატვირთულობის პრობლემის მოსაგვარებლად.
რუანდა	1. გაფართოვდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის უფასო იურიდიული დახმარებისა და ტრავმაზე დაფუძნებული ფსიქოსოციალური სერვისების მიწოდების ქსელი. 2. საქართველომ დაჩქარებულად მიიღოს რესტრუქციული მართლმსაჯულების შესახებ კანონპროექტი.
სენეგალი	1. გაძლიერდეს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ჩარჩო საერთაშორისო და რეგიონულ კომპეტენტურ მექანიზმებთან თანამშრომლობით, რათა გაგრძელდეს თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობა. 2. გაგრძელდეს ეთნიკური უმცირესობებისთვის თანაბარი შესაძლებლობებისა და მოპყრობის ხელშეწყობა.
სერბეთი	1. საქართველომ უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის ეფექტიანი და კოორდინირებული განხორციელება. 2. უზრუნველყოფილი იყოს ინკლუზიური, მაღალი ხარისხის განათლება ყველა ბავშვისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და ლტოლვილებისთვის. 3. გაძლიერდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა შესაბამისი კანონმდებლობისა და CRPD-ის აღსრულების გზით. 4. გაძლიერდეს ზომები გენდერული ძალადობის პრევენციისა და მასზე რეაგირების, ასევე, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის მიზნით.
სიერა ლეონე	1. განხორციელდეს ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. 2. გატარდეს ზომები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და ხარისხის გასაძლიერებლად. 3. სახელმწიფომ უზრუნველყოს განათლების მდგრადი სახელმწიფო დაფინანსების შესახებ გამოცდილებისა და კარგი პრაქტიკის გაზიარება.
სინგაპური	1. საქართველომ უზრუნველყოს მოსახლეობისთვის ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა. 2. განაგრძოს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა.
სლოვენია	1. გაუქმდეს კანონები უცხოელი აგენტების რეგისტრაციისა და უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს ანტიდისკრიმინაციული და გენდერული თანასწორობის შესახებ კანონმდებლობის ეფექტიანი განხორციელება, მათ შორის, აღსრულების ქმედითი მექანიზმებისა და საკანონმდებლო დებულებების თაობაზე ცნობიერების ამაღლების გზით.

ესპანეთი	1. საქართველომ უზრუნველყოს სასამართლო სისტემის ინტენსიური და მიუკერძოებელი გაძლიერება, ასევე, უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლეების გამჭვირვალე და დემოკრატიული შერჩევის პროცესი. 2. გაძლიერდეს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დახმარების მექანიზმები, ეროვნული კანონმდებლობა სრულად შესაბამისობაში მოვიდეს სტამბოლის კონვენციის სტანდარტებთან. 3. სახელმწიფომ უზრუნველყოს ლგბტქი+ თემისა და სხვა პირების ეფექტიანი დაცვა ძალადობის, დისკრიმინაციისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისგან. 4. გაუმჯობესდეს მექანიზმები იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების დაცვის მიზნით , ტერიტორიული კონფლიქტების გადაჭრის გზების პოვნასთან ერთად.
შვედეთი	1. გაუქმდეს კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს სამოქალაქო საზოგადოებას და დამოუკიდებელ მედიას, მათ შორის, უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების შესახებ კანონები, ოჯახური ღირებულებების შესახებ საკანონმდებლო პაკეტი, ასევე გრანტების შესახებ და მაუწყებლობის შესახებ კანონებში შეტანილი ცვლილებები. 2. ადამიანის უფლებათა დარღვევის შესახებ ყველა შეტყობინება დაექვემდებაროს სწრაფ, მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ გამოძიებას, რათა აღიკვეთოს პოლიციის მიერ გადაჭარბებული ძალის გამოყენება იმ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ, რომლებიც სარგებლობენ გამოხატვისა და შეკრების თავისუფლებით. 3. საქართველომ უზრუნველყოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა და თავი შეიკავოს მშვიდობიანი მომიტინგეების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის წარმომადგენლების ან ოპოზიციური პოლიტიკოსების წინააღმდეგ თვითნებური ან პოლიტიკურად მოტივირებული გამოძიებების, აუდიტების ან სამართლებრივი დევნის გამოყენებისგან.
შვეიცარია	1. უზრუნველყოფილი იყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი გამოძიება სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ბრალდებებთან დაკავშირებით, მათ შორის, 2024 წლიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების კონტექსტში გამოვლენილ წამების ფაქტებთან მიმართებით. 2. გაუქმდეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები, ასევე, ორი სხვა კანონის ცვლილებები. უზრუნველყოფილი იყოს გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, მედიის თავისუფლება, მშვიდობიანი შეკრების უფლება. გადაიხედოს ისეთი კანონმდებლობა, რომელიც შეუთავსებელია ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებებსა და სტანდარტებთან. 3. ეროვნული კანონმდებლობა შესაბამისობაში მოვიდეს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის სტანდარტებთან, მისი სრულად განხორციელების მიზნით.
ტოგო	1. განხორციელდეს ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. 2. განხორციელდეს ყველა პირის იძულებითი გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. 3. საქართველომ უზრუნველყოს ქალებისა და ბავშვების დაცვის გაძლიერება ძალადობის ყველა ფორმისა და მათი უფლებების დარღვევისგან.

ტუნისია	1. საქართველომ გააუმჯობესოს და განაახლოს ინფრასტრუქტურა ბავშვების, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების დაცვის გაძლიერების მიზნით. 2. გაორმაგდეს ძალისხმევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიმართულებით. 3. საქართველომ გააუმჯობესოს ცხოვრების დონე და გაზარდოს სოფლად ან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი.
თურქეთი	1. განხორციელდეს ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრის ეფექტიანი, მდგრადი და ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფა. 2. საქართველომ გააგრძელოს მჭიდრო თანამშრომლობა საერთაშორისო საზოგადოებასთან, რათა ხელი შეუწყოს ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონებიდან იძულებით გადაადგილებული ასობით ათასი პირის უსაფრთხო, ნებაყოფლობით და ღირსეულ დაბრუნებას საკუთარ სახლებში. 3. საქართველომ უზრუნველყოს დასახული გეგმების ეფექტიანობა და შედეგებზე ორიენტირებული განხორციელება.
თურქმენეთი	1. გაგრძელდეს ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმების გაფართოებისკენ მიმართული ქმედებები. 2. გაძლიერდეს ძალისხმევა სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოს გასაუმჯობესებლად, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები ქალებისა და გოგონების, ბავშვების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ხანდაზმული ადამიანების მიერ საკუთარი უფლებებით სრულად სარგებლობისთვის.
უკრაინა	1. საქართველომ გააუქმოს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტებისრეგისტრაციისშესახებკანონები,გაათავისუფლოსყველაპოლიტპატიმარი, გააუქმოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონში შესული რეგრესული ცვლილებები და უზრუნველყოს უკანონოდ გათავისუფლებული საჯარო მოხელეების აღდგენა. 2. ეროვნული სამართლებრივი ჩარჩო ჰარმონიაში მოვიდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.
არაბთა გაერთიანებული ემირატები	1. საქართველომ გააგრძელოს ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ქმედითი ნაბიჯების გადადგმა და შექმნას შესაძლებლობები შრომის ბაზარზე მათი ეფექტიანი მონაწილეობისთვის. 2. გაგრძელდეს მუშაობა ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის და ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიმართულებით, შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერების გზით.
გაერთიანებული სამეფო	1. საქართველომ უზრუნველყოს საპროტესტო აქციების დროს პოლიციის ძალადობისა და არასათანადო მოპყრობის ბრალდებებზე დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარება და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. 2. სახელმწიფომ დაიცვას ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ადამიანის უფლებათა დამცველების უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა, გააუქმოს ან შეასწოროს კანონმდებლობა, რომელიც ზღუდავს მათ საქმიანობას. 3. გათავისუფლდეს ყველა პირი, რომლებიც უსამართლოდ არიან დაკავებულნი პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებებით, გადაიდგას ნაბიჯები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის მისაღწევად და სამართლიანი სასამართლოს უფლების დასაცავად.

ურუგვაი	1. ყველა ადამიანისთვის უზრუნველყოფილი იყოს უნივერსალური წვდომა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებზე, მათ შორის, ხელმისაწვდომი იყოს ჯანდაცვის უნივერსალური პაკეტი კონტრაცეპტივების ფართო სპექტრით, რომელიც განკუთვნილია ახალგაზრდა და სოციალური დახმარების მიმღები ქალებისთვის. 2. გაორმაგდეს ძალისხმევა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. 3. საქართველომ მიიღოს ბავშვთა დაცვის ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებული იქნება ძალადობის ყველა ფორმისა და ონლაინ სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლაზე.
უზბეკეთი	1. გაგრძელდეს კოორდინირებული, ადეკვატური რესურსებით უზრუნველყოფილი და შედეგზე ორიენტირებული ქმედებები ადამიანის უფლებათა ეროვნული სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელების მიზნით. 2. გატარდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრული ინკლუზიურობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისკენ მიმართული ღონისძიებები, მათ შორის, ციფრულ გარემოში.
ვენესუელა	1. აღმოიფხვრას მშვიდობიანი პროტესტის კონტექსტში ადამიანის უფლებების დარღვევები. 2. სახელმწიფომ გაატაროს შესაბამისი პოლიტიკა წამებისა და ძალის გადაჭარბებული გამოყენების აღმოფხვრის მიზნით. 3. საქართველომ უზრუნველყოს სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევათა გამოძიება, ანგარიშვალდებულება, ასევე, სათანადო რეპარაცია მსხვერპლთათვის. 4. გატარდეს სასწრაფო ზომები ფემიციდის შემთხვევების აღსაკვეთად, გაიზარდოს გამჭვირვალობა და სამართლებრივი ღონისძიებების ეფექტიანობა. 5. გატარდეს კონკრეტული ზომები სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით გოგონებით ვაჭრობის პრევენციისთვის. 6. საქართველომ უზრუნველყოს სიღარიბის შემცირებაზე ორიენტირებული ეროვნული ინკლუზიური სოციალური დაცვის სტრატეგიების ხელშეწყობა.
ვიეტნამი	1. გაგრძელდეს ბავშვთა დაცვის პოლიტიკისა და მომსახურების გაძლიერება, მათ შორის, შესაბამის ინსტიტუტებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესება და ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალ პირთა შესაძლებლობების განვითარება. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შემდგომი ხელშეწყობა ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაუმჯობესების გზით, განსაკუთრებით, განათლების, დასაქმებისა და საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობის კუთხით.
ალბანეთი	1. საქართველომ ხელახლა განიხილოს კანონმდებლობები, რომლებიც ზღუდავს შეკრების, გამოხატვის და მედიის თავისუფლებას. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს სათანადო, დამოუკიდებელი და ეფექტიანი გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადაჭარბებული გამოყენების, წამების ან არასათანადო მოპყრობის ყველა ბრალდებაზე და პასუხისგებაში მისცეს დამნაშავე პირები. 3. გაძლიერდეს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა, გამჭვირვალობა და მიუკერძოებლობა.
ალჟირი	1. გაორმაგდეს ძალისხმევა ქალებისა და ბავშვების მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. 2. გაძლიერდეს პერსონალური მონაცემების დაცვის ეროვნული მექანიზმები.

სომხეთი	1. განხორციელდეს ქმედებები ძალადობისა და დისკრიმინაციისგან ქალთა დასაცავად, მათ შორის, ციფრული ტექნოლოგიების პოტენციალის გამოყენებით. 2. გაგრძელდეს ქმედებები ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიმართულებით, რაც კიდევ უფრო შეამცირებს სიღარიბეს და უთანასწორობას.
ავსტრალია	1. საქართველომ გააუქმოს კანონები, რომლებიც მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების და დამოუკიდებელი მედიის საქმიანობის შეზღუდვას, მათ შორის, უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონი, გრანტების შესახებ კანონი და მაუწყებლობის შესახებ კანონში შესული ბოლოდროინდელი ცვლილებები. 2. გაუქმდეს ლგბტქ+ თემის საწინააღმდეგო კანონმდებლობა, მათ შორის, ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონი. 3. სახელმწიფომ უზრუნველყოს საპროტესტო აქციების მშვიდობიანი ჩატარება დისკრიმინაციის გარეშე.
ავსტრია	1. საქართველომ აღადგინოს სიტყვისა და შეკრების თავისუფლება იმ კანონმდებლობის გამოხმობით, რომელიც ეწინააღმდეგება ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს და დაიცვას ამასთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციები. 2. შეიქმნას ჟურნალისტებისთვის უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო, ჩატარდეს გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ მომიტინგეებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალის გადამეტებული გამოყენების ფაქტებზე და დამნაშავეები მიეცნენ პასუხისგებაში. 3. სახელმწიფომ უზრუნველყოს დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემა, მათ შორის, მოსამართლეების შერჩევის გამჭვირვალე და დამსახურებაზე დაფუძნებული პროცედურებით. 4. გაგრძელდეს ინსტიტუტებისა და სერვისების გაძლიერება და მხარდაჭერა გენდერული ძალადობის მსხვერპლთა ეფექტიანი დახმარების მიზნით, მათ შორის, ლგბტქი+ პირებისთვის ადეკვატური დაცვისა და დახმარების უზრუნველყოფით.
აზერბაიჯანი	1. გაძლიერდეს საკანონმდებლო და ინსტიტუციური ზომები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის მიზნით. 2. გაგრძელდეს ბავშვთა კეთილდღეობის, განვითარების, დაცვისა და ხელშეწყობის მექანიზმების დანერგვა, მათ შორის, ახალი ტექნოლოგიების პასუხისმგებლობიან და ეთიკურ გამოყენებასთან დაკავშირებით.
ბაჰრეინი	1. გაუმჯობესდეს დაუცველი ჯგუფების, მათ შორის, ქალების, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების შემუშავების გზით, გაგრძელდეს ქალების გაძლიერებისკენ მიმართული ზომების მიღება, მათ შორის, ყველა სფეროში მათი მონაწილეობის მხარდაჭერა, დისკრიმინაციის ყველა ფორმისგან დაცვა, მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა.
ბანგლადეში	1. გაგრძელდეს მუშაობა ქალებისა და გოგონების მიმართ დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების კუთხით უფრო მეტი პროგრესის მისაღწევად. 2. გატარდეს დამატებითი ზომები ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად, ასევე, ხარისხიან განათლებაზე, ჯანდაცვის მომსახურებასა და უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებით, სოფლებსა და რეგიონებში. 3. გაძლიერდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების მექანიზმები, მათ შორის, განათლებაზე, ჯანდაცვასა და დასაქმების შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის კუთხით.

ბელორუსი	1. გაგრძელდეს ზოგადი ჯანდაცვის მხარდაჭერის პროგრამის დაფინანსების გაზრდა, პრიორიტეტულად მიექცეს ყურადღება დედათა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას. 2. შემუშავდეს ეროვნული სამოქმედო გეგმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.
ბელგია	1. გაუქმდეს კანონები, რომლებიც ზედმეტად ზღუდავს სამოქალაქო სივრცეს და მედიის თავისუფლებას, მათ შორის, უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები, ასევე, გრანტების შესახებ კანონში შესული ბოლოდროინდელი ცვლილებები. 2. საქართველომ უზრუნველყოს სწრაფი, მიუკერძოებელი და საფუძვლიანი გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და სანქციები სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებათა დამცველების, ჟურნალისტების ან მედიის წარმომადგენლებზე თავდასხმის ყველა შემთხვევაზე, ასევე, სამართალდამცავი ორგანოების მიერ მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გადაჭარბებული გამოყენების ბრალდებებზე. 3. გადაიდგას დამატებითი ნაბიჯები სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, გაუქმდეს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ კანონი.
ბოლივია	1. საქართველომ გააგრძელოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომელიც ასევე მოიცავს საავადმყოფოს მომსახურებას. 2. გაძლიერდეს საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ოჯახში ძალადობისა და ოჯახში დანაშაულის მსხვერპლთათვის უფასო იურიდიულ დახმარებას უზრუნველყოფს. 3. საქართველომ მიიღოს აუცილებელი ზომები პროტესტის უფლების უზრუნველსაყოფად.
ბრაზილია	1. საქართველომ გააძლიეროს ზომები მშვიდობიანი შეკრების უფლების დასაცავად, გადახედოს კანონმდებლობას, რომელიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს და უზრუნველყოს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გადაჭარბებული გამოყენების ყველა ბრალდება საფუძვლიანად და დამოუკიდებლად იყოს გამოძიებული. 2. საქართველომ მიიღოს კონკრეტული ზომები ლგბტქია+ პირების დასაცავად, მათ შორის, გადახედოს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ 2024 წლის კანონს დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად, გააძლიეროს ძალისხმევა სიძულვილის ენის, სტიგმატიზაციისა და დისკრიმინაციული პრაქტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად, საჯარო მოხელეების მომზადების გზით.
ბრუნეი	1. გაძლიერდეს მუშაობა ქალთა განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის, ეკონომიკურ და სოციალურ საქმიანობაში მათი მნიშვნელოვანი და მდგრადი მონაწილეობის წახალისების გზით. 2. შენარჩუნდეს და შემდგომში მეტად განვითარდეს ინიციატივები გარემოსდაცვითი მდგრადობის მიმართულებით.
ბულგარეთი	1. საქართველომ ხელი შეუწყოს ციფრულ გარემოში ბავშვის უფლებების დაცვას. 2. გაძლიერდეს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის, მასთან ბრძოლის საკანონმდებლო, ინსტიტუციური და პოლიტიკური ზომები. 3. გაძლიერდეს ძალისხმევა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ადამიანის უფლებათა და ჰუმანიტარული საერთაშორისო ორგანიზაციების შეუფერხებელი წვდომის უზრუნველსაყოფად.

კამერუნი	1. გაძლიერდეს უმცირესობათა უფლებების დაცვა სოციალური და ენობრივი ინკლუზიის წახალისებით, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათი ეფექტიანი მონაწილეობით. 2. გაგრძელდეს მუშაობა მიგრანტების, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, ძირითად სერვისებსა და სამართლიანობაზე ეფექტიანი წვდომის გარანტირებით. 3. გაძლიერდეს ბრძოლა დისკრიმინაციის ყველა ფორმის, მათ შორის, რასობრივი, ეთნიკური, რელიგიური ან მიგრაციული სტატუსის საფუძველზე დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ინკლუზიური საჯარო პოლიტიკისა და პრევენციული ქმედებების გატარებით.
კანადა	1. საქართველომ მიიღოს ზომები სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად, ყოველგვარი პოლიტიკური გავლენისა და სახელმწიფო ძალადობის აღმოფხვრის გზით. 2. საქართველომ უზრუნველყოს, რომ ყველა არსებული და შემდგომი კანონი შეესაბამებოდეს აზრის, გამოხატვის, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების სტანდარტებს, რათა ადამიანის უფლებათა დამცველებს, ჟურნალისტებს, აკადემიური სფეროს წარმომადგენლებს და პოლიტიკოსებს საშუალება მიეცეთ, განახორციელონ თავიანთი საქმიანობა. 3. საკუთარი უფლებების გამოყენებისთვის დაკავებულ პირებს მიეცეთ მყისიერი წვდომა ჯანდაცვის სერვისებსა და ადვოკატზე, მათთვის უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი და სწრაფი სასამართლო პროცესი წინაპირობების გარეშე, ამასთანავე, მათი საქმეები განიხილებოდეს დამოუკიდებელი მექანიზმის მიერ. 4. შესწორდეს ეროვნული კანონები, მათ შორის, კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, რათა ცალსახად აიკრძალოს დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის გამოხატვის, რელიგიის ან რწმენის საფუძველზე.
ჩილე	1. საქართველომ მიიღოს სამართალდამცავი ორგანოებისთვის სავალდებულო პროტოკოლები დემონსტრაციების დროს ძალის პროპორციული გამოყენების უზრუნველსაყოფად. ძალადობის ჩამდენი პირების იდენტიფიცირება და ძალადობის გამოძიება მოხდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 2. გაუქმდეს გამოხატვის, გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შემზღუდავი კანონმდებლობა, ასევე, ლგბტქ+ თემის წინააღმდეგ მიმართული კანონები. სახელმწიფომ უზრუნველყოს ჟურნალისტების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოების ეფექტიანი დაცვა. 3. საქართველომ უზრუნველყოს ბავშვთა დაცვის ყოვლისმომცველი ეროვნული სტრატეგიის მიღება და განხორციელება, რომელშიც პრიორიტეტი მიენიჭება ძალადობის პრევენციას. გაფართოვდეს სერვისები ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის მიზნით. განსაკუთრებით გამახვილდეს ყურადღება ონლაინ ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე.
ჩინეთი	1. საქართველომ გააგრძელოს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა და ბრძოლა მოწყვლადი ჯგუფების დისკრიმინაციის წინააღმდეგ. 2. გაძლიერდეს გაეროს ადამიანის უფლებათა ინსტიტუტებსა და მექანიზმებთან დიალოგი და თანამშრომლობა.

კოლუმბია	1. საქართველომ გააუქმოს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები. 2. ჩატარდეს ყოვლისმომცველი გამოძიება სახელმწიფო აგენტების მიერ 2024 და 2025 წლებში გამართული საპროტესტო აქციების დროს ძალისა და ნაკლებად ლეტალური იარაღის გამოყენების ფაქტებზე. 3. გაუქმდეს ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონი, ასევე, მასთან დაკავშირებული 18 ცვლილება, რომლებიც სხვა კანონებში შევიდა.
კოსტა რიკა	1. გაძლიერდეს კომპეტენტური ორგანოების, მათ შორის, მოსამართლეების, პროკურორების, შრომის ინსპექტორების და სხვა საჯარო მოხელეების შესაძლებლობები დისკრიმინაციის შემთხვევების იდენტიფიცირების მიზნით. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს ჯანსაღი გარემოს ხელშეწყობა, ასევე, ქალებისა და დაუცველი თემების ეფექტიანი მონაწილეობა გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის პროექტებთან დაკავშირებულ საჯარო კონსულტაციებში. 3. შეიქმნას საჯარო ინფორმაციაზე წვდომის ციფრული სისტემა, ასევე, სახელმწიფომ უზრუნველყოს განსხვავებული შეხედულებების გამომხატველი საჯარო მოხელეების მიმართ სტრუქტურირებული ადმინისტრაციული სასჯელების გამოყენების თავიდან არიდება და ასეთი შემთხვევების გამოძიება.
ხორვატია	1. განხორციელდეს ყველა პირის იძულებითი გაუჩინარებისგან დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. 2. სახალხო დამცველის ოფისი უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსით პარიზის პრინციპების შესაბამისად, მისი მანდატის ეფექტიანად და დამოუკიდებლად განსახორციელებლად. 3. ეროვნულ დონეზე გაძლიერდეს გენდერული ძალადობის, ფემიციდის პრევენციის მექანიზმები.
კუბა	1. გაგრძელდეს თემატური რეკომენდაციების შემუშავება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკის გასაუმჯობესებლად. 2. გაგრძელდეს ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიზნით ეფექტიანი ზომების განხორციელება. 3. გაგრძელდეს ქალებისთვის პრიორიტეტის მინიჭება ბიზნესსა და სხვადასხვა პროგრამაში მონაწილეობის კუთხით, მათი ეკონომიკური გაძლიერების უზრუნველსაყოფად.
კვიპროსი	1. საქართველომ უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ფუნქციონირება თავისუფლად და გაუმართლებელი შეზღუდვების გარეშე. 2. საქართველომ დაიცვას მედიის და გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, ჟურნალისტების დაშინებისა და მათ მიმართ ძალადობის თავიდან აცილებით. 3. გატარდეს ეფექტიანი ზომები ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის გაზრდის მიზნით ყველა დონეზე. 4. საქართველომ მიიღოს და განახორციელოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციები შესაბამისი კანონმდებლობის შესწორებისა და გაუმჯობესების შესახებ.

ჩეხეთი	1. საქართველომ გააუქმოს ყველა რეპრესიული კანონი და ცვლილება, რომლებიც მიღებულია 2024 წლის „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის შემდეგ, ასევე უზრუნველყოს, რომ სამართლებრივი ჩარჩო სრულად შეესაბამებოდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებს. 2. საქართველომ აღადგინოს და დაიცვას ფუნდამენტური უფლებები და თავისუფლებები, როგორიცაა მშვიდობიანი შეკრების, გაერთიანების, გამოხატვისა და მედიის თავისუფლება. 3. საქართველომ უზრუნველყოს დამოუკიდებელი, გამჭვირვალე და ეფექტიანი გამოძიება მომიტინგეების წინააღმდეგ ძალის გამოყენების თითოეულ შემთხვევაზე. 4. გათავისუფლდეს პოლიტიკურად მოტივირებული ბრალდებით დაკავებული ყველა პირი. გამყარდეს სამართლებრივი და პროცედურული გარანტიები, რათა თავიდან იყოს აცილებული თვითნებური დაპატიმრება და დაკავება, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.
კონგოს რესპუბლიკა	საქართველომ დაასრულოს ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ ეროვნული კონვენციის, ასევე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფაკულტატური ოქმისა და 2011 წლის ოჯახში დასაქმებულთა [domestic workers] უფლებების შესახებ კონვენციის რატიფიცირება.
დანია	საქართველომ გააუქმოს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები, ჩაატაროს მიუკერძოებელი გამოძიება ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა ბრალდებაზე და დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიციის მხრიდან ძალადობის დოკუმენტირებულ შემთხვევებზე.
ჯიბუტი	1. საქართველომ გააგრძელოს აქტივობები სახალხო დამცველის ოფისის გაძლიერების მიზნით, რათა უზრუნველყოს მისი გამართული ფუნქციონირება და სრული დამოუკიდებლობა პარიზის პრინციპების შესაბამისად. 2. გაძლიერდეს ბრძოლა შეუწყნარებლობის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან, რომლებიც მიმართულია მოწყვლადი და უმცირესობების ჯგუფების წინააღმდეგ. ჩატარდეს სისტემატური გამოძიებები და განისაზღვროს პროპორციული სანქციები, მათ შორის, ონლაინ ჩადენილი დანაშაულებისთვის. 3. საქართველომ მიიღოს აუცილებელი ზომები ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ეფექტიანად საბრძოლველად. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს ფემიციდისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენი პირების სისხლისსამართლებრივ დევნაზე.
დომინიკის რესპუბლიკა	1. შეიქმნას უსაფრთხო, ხელსაყრელი გარემო სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიისთვის, უზრუნველყოფილი იყოს საკანონმდებლო ჩარჩოს თავსებადობა გაერთიანებისა და გამოხატვის თავისუფლებასთან. 2. გაგრძელდეს ბრძოლა სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ. 3. გაძლიერდეს ინკლუზიური და ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობა ყველა დონეზე. განსაკუთრებით გამახვილდეს ყურადღება სოფლებსა და რეგიონებზე.
ეგვიპტე	1. გატარდეს სპეციალური ზომები ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დაცვის მიმართულებით. 2. გატარდეს ზომები ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის, მსხვერპლთა სოციალური დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, მათ შორის, ფსიქოსოციალური რეაბილიტაციისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიმართულებით.

ერიტრეა	1. საქართველომ გასწიოს ძალისხმევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის დასაჩქარებლად. პრიორიტეტული მიენიჭოს საზოგადოების მოთხოვნებზე დაფუძნებული სერვისებისა და დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერის მექანიზმების განვითარებას. 2. გადაიხედოს ბავშვებთან დაკავშირებით ცოტა ხნის წინ მიღებული კანონმდებლობა, მათ შორის, 2024 წლის კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა ბავშვისთვის თანაბარი და არადისკრიმინაციული წვდომა განათლებაზე, ინფორმაციაზე, ჯანდაცვასა და სოციალურ მომსახურებაზე, განსაკუთრებით, მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვებისთვის.
ესტონეთი	1. უზრუნველყოფილი იყოს არასათანადო მოპყრობის ყველა შემთხვევისა და ინციდენტის საფუძვლიანი, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და შესაბამისი რეაგირება იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება სამართალდამცავი ორგანოების მიერ მომიტინგეებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალის გადაჭარბებულ გამოყენებას. 2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და სისხლის სამართლის კოდექსი შესაბამისობაში მოვიდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ვალდებულებებთან. 3. უზრუნველყოფილი იყოს მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და გამჭვირვალობა, რისთვისაც, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა გაუქმდეს საერთო სასამართლოების შესახებ კანონში შესული ბოლოდროინდელი ცვლილებები, ასევე, ქვეყნის სამართლებრივი ჩარჩო შესაბამისობაში მოვიდეს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან. 4. დაჩქარდეს პროგრესი გენდერული ძალადობის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში. 5. გაუქმდეს ლგბტქ+ უფლებების საწინააღმდეგო ცვლილებები.
ესვატინი	1. გაიზარდოს ინკლუზიურ, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა, მათ შორის, სტრუქტურული ბარიერების მოხსნით და ყველა რეგიონში თანაბარი სასწავლო შესაძლებლობების უზრუნველყოფით. 2. გაძლიერდეს მუშაობა ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის, მსხვერპლთა იდენტიფიცირების, დაცვის, რეაბილიტაციისა და დამნაშავეებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების გზით. 3. შემუშავდეს პოლიტიკა, რომელიც აძლიერებს ოჯახის, საზოგადოების მდგრადობას და უზრუნველყოფს სოციალური დახმარებისა და მხარდაჭერის მექანიზმებზე ხელმისაწვდომობას.
ეთიოპია	1. გაგრძელდეს მუშაობა ფუნდამენტური თავისუფლებების, მათ შორის, გამოხატვის, გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვის მიზნით. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს ხარისხიან ჯანდაცვასა და ინკლუზიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობა, განსაკუთრებით, სოფლებისა და შორეული რეგიონების მაცხოვრებლების, ეთნიკური უმცირესობებისა და დაუცველი ჯგუფებისთვის.

ფინეთი	1. შეჩერდეს სამოქალაქო სივრცის შეზღუდვა, თავისუფალი მედიისა და პოლიტიკური ოპოზიციის ჩაგვრა, მშვიდობიანი დემონსტრაციებისა და მისი მონაწილეების წინააღმდეგ მიმართული ძალადობრივი ქმედებები. 2. გაძლიერდეს სასამართლო, სამართალდამცავი ორგანოების დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. 3. გაუქმდეს კანონმდებლობა, რომელიც ძირს უთხრის ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვას, მათ შორის, უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები, ასევე, 2024 წლის კანონი ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ.
საფრანგეთი	1. საქართველომ მიიღოს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს პოლიტიკური პლურალიზმის პატივისცემას და თავისუფალი, სამართლიანი არჩევნების ჩატარებას. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს მედიის თავისუფლება და პლურალიზმი. 3. პატივი სცეს გამოხატვის თავისუფლების, მშვიდობიანი შეკრებისა და გაერთიანების უფლებებს. 4. შეიქმნას უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემო სამოქალაქო საზოგადოებისთვის, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და ჟურნალისტებისთვის. გათავისუფლდეს პოლიტიკური მოტივით დაკავებული ყველა პირი და უზრუნველყოფილი იყოს სამართლიანი სასამართლოს უფლება. 5. გაძლიერდეს ბრძოლა გენდერული და სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციის ყველა ფორმის წინააღმდეგ, დაიცვას ლგბტქ+ პირების ფუნდამენტური თავისუფლებები.
გამბია	1. გაძლიერდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა და მხარდაჭერა შშმ პირთა უფლებების კონვენციის შესაბამისად, მათ შორის, საზოგადოებაზე დაფუძნებული სერვისების ხელმისაწვდომობის, ასევე, ძალადობისა და უგულებელყოფისგან დაცვის ჩათვლით. 2. უზრუნველყოფილი იყოს ინკლუზიური და ხელმისაწვდომი განათლება ყველა ბავშვისთვის, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, უმცირესობების წარმომადგენლებისა და შორეულ რეგიონებში მცხოვრები ბავშვებისთვის. 3. გაძლიერდეს სასამართლო და ზედამხედველობის ინსტიტუტების დამოუკიდებლობა და ეფექტიანობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ანგარიშვალდებულება, ჯეროვანი პროცესი და არასათანადო მოპყრობისგან დაცვა დაკავების ყველა ადგილზე.
გერმანია	1. საქართველომ გამოიძიოს დემონსტრანტების წინააღმდეგ ძალის გადაჭარბებული გამოყენების შემთხვევები, მათ შორის, პოლიციის მხრიდან წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები, უზრუნველყოს მსხვერპლთათვის სამართლიანობაზე, კომპენსაციასა და რეაბილიტაციაზე წვდომა. 2. გაუქმდეს სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის კუთხით არსებული დაბრკოლებები, მათ შორის, გაუქმდეს ან შეიცვალოს ე.წ. კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, კანონი უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ და ცვლილებები გრანტების შესახებ კანონში. 3. საქართველომ გადახედოს შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ ცვლილებებს, რომლებიც ზღუდავს შეკრების თავისუფლებას. მოიყვანოს ისინი შესაბამისობაში საერთაშორისო სამართალთან, ვენეციის კომისიისა და ევროკავშირის გაფართოების ანგარიშის რეკომენდაციებთან. 4. გაუქმდეს ან არსებითად გადაიხედოს მაუწყებლობის შესახებ კანონი, ასევე, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები.

განა	1. განხორციელდეს ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრების უფლებების დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის რატიფიცირება. 2. საქართველომ უზრუნველყოს ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის, განსაკუთრებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენლებისთვის. 3. გაძლიერდეს ხარისხიან ჯანდაცვაზე, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, განსაკუთრებით, სოფლებსა და რეგიონებში.
საბერძნეთი	1. საქართველომ გააძლიეროს ძალისხმევა, რათა დაცული იყოს გამოხატვის თავისუფლება, მათ შორის, ისეთი სამართლებრივი ჩარჩოს მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს ჟურნალისტების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და მედიის დამოუკიდებლობას, იმავდროულად, აღკვეთს მათ მიმართ მუქარას, შევიწროებას და დაშინებას. 2. საქართველომ გააძლიეროს ბრძოლა ადამიანებით ვაჭრობისა და ქალთა მიმართ გენდერული ძალადობის წინააღმდეგ, ასევე, უზრუნველყოს დახმარების სერვისები მსხვერპლებისა და მათზე დამოკიდებული პირებისთვის. 3. გაგრძელდეს ბრძოლა დისკრიმინაციის, სტიგმატიზაციისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ. სახელმწიფომ საფუძვლიანად გამოიძიოს ამ კუთხით გამოვლენილი დარღვევები და დამნაშავეებს დააკისროს შესაბამისი პასუხისმგებლობა.
ისლანდია	1. საქართველომ გამოიძიოს და იმსჯელოს საზოგადოებრივი პროტესტის კონტექსტში ადამიანის უფლებების დარღვევის შესახებ ბრალდებებზე. 2. გაუქმდეს გამოხატვის, შეკრების და ასოციაციის თავისუფლების შემზღუდველი ეროვნული კანონმდებლობა. 3. დაინერგოს ყოვლისმომცველი სექსუალური განათლება სკოლებში და მის გარეთ. 4. საქართველომ უზრუნველყოს უნივერსალური წვდომა სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისებსა და ინფორმაციაზე. 5. გაუქმდეს ეროვნულ კანონმდებლობაში დისკრიმინაციული დებულებები და უზრუნველყოფილი იყოს განსხვავებული სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის მქონე პირთა უფლებები. 6. მოხდეს თანხმობის უფლების მქონე ზრდასრულ ერთსქესიან პირთა ქორწინების ლეგალიზაცია. 7. საქართველომ უზრუნველყოს გენდერის დამადასტურებელი სამედიცინო მომსახურების დეკრიმინალიზაცია.
ინდოეთი	1. გატარდეს ზომები ბავშვთა შრომის წინააღმდეგ, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობასა და არაფორმალურ სექტორში. 2. გაორმაგდეს ძალისხმევა ჩვილებისა და ახალშობილების სიკვდილიანობის მაჩვენებლის შემცირებისა და პრევენციული ჯანდაცვის სერვისების გაფართოების მიზნით. 3. გადაიდგას ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარებისა და სოციალური დაცვის გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებით, სოფლად და შორეულ რეგიონებში.
ინდონეზია	1. საქართველომ უზრუნველყოს ყველა რელიგიური თემის მიმართ თანაბარი მოპყრობა და დაცვა სამართლებრივი და პოლიტიკური ჩარჩოების მეშვეობით. 2. გაძლიერდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვისა და სამართლებრივ პროცესებში ანგარიშვალდებულების ხელშეწყობის ზომები. 3. გაგრძელდეს ძალისხმევა ადამიანებით ვაჭრობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის მიმართულებით, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების შესაძლებლობების გაძლიერებით, რათა ეფექტიანად გამოიძიონ ასეთი დანაშაულები.

ირანი	1. გაორმაგდეს ძალისხმევა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევებში სამართალდამცავი ორგანოების საგამოძიებო შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით. 2. გატარდეს ეფექტიანი ზომები სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით გოგონებით ვაჭრობის აღსაკვეთად. 3. სახელმწიფომ მიიღოს საჭირო ზომები განათლების ინფრასტრუქტურისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად. 4. საქართველომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის შესაბამისი მომსახურების ხელმისაწვდომობა და საზოგადოებაში მათი ადაპტირება.
ერაყი	1. გაგრძელდეს ძალისხმევა სიძულვილის ენისა და შეუწყნარებლობის შესამცირებლად, განსაკუთრებით, ქვეყანაში მცხოვრები უცხოელებისა და უმცირესობების მიმართ. 2. გაძლიერდეს ძალისხმევა ბავშვებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, უზრუნველყოფილი იყოს მსხვერპლთათვის დახმარების სერვისები, შესაბამისი კომპენსაცია და უსაფრთხო, დაცული გარემო.
ირლანდია	1. საქართველომ უზრუნველყოს ყველა მოქალაქის, მათ შორის, ჟურნალისტების, ადამიანის უფლებათა დამცველების, ლგბტქ+ პირების და ოპოზიციურ პარტიათა წარმომადგენლების გამოხატვის თავისუფლება, ასევე, უნდა არსებობდეს გარანტიები, რომ სამოქალაქო და სისხლის სამართლის დებულებები არ ზღუდავს კრიტიკულ აზრს. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს არასათანადო მოპყრობისა და ძალის გადაჭარბებული გამოყენების ყველა ბრალდების სწრაფი, საფუძვლიანი და მიუკერძოებელი გამოძიება. 3. გაუქმდეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები, უზრუნველყოფილი იყოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, შეკრებისა და გამოხატვის შესახებ კანონი და სისხლის სამართლის კოდექსი შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.
იტალია	1. საქართველომ მიიღოს ზომები ადამიანის უფლებების საერთაშორისო ვალდებულებების სრულყოფილად შესასრულებლად, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების, დამოუკიდებელი მედიისა და ადამიანის უფლებათა დამცველებისთვის სივრცის უფრო მეტად დასაცავად. დასაცავად. განიხილოს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონების, ასევე, გრანტების შესახებ კანონში შესული ბოლოდროინდელი ცვლილებების გაუქმების საკითხი. 2. გატარდეს ზომები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და შრომის ბაზარზე მათი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, დამსაქმებლებთან და პროფკავშირებთან თანამშრომლობით. 3. გადაიდგას ნაბიჯები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წევრთა სტიგმატიზაციის, შევიწროების, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების შემდგომი პრევენციისა და მათზე რეაგირების ზომების მიღების მიზნით.
იაპონია	საქართველომ მიიღოს კონსტრუქციული ზომები საკუთარი ხალხის მოსაზრებების შესასწავლად, შინაარსიანი დიალოგის დაწყების მიზნით.
იორდანია	1. საქართველომ უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისკენ მიმართული საკანონმდებლო ჩარჩოებისა და ეროვნული პოლიტიკის გაძლიერება ისე, რომ ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ სრულყოფილ ჩართულობას და დისკრიმინაციის აკრძალვას. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემუშავება და ფუნდამენტური უფლებების დაცვა ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებისა და შესაბამისი უნარების განვითარების გზით.

ყაზახეთი	1. გაგრძელდეს ზომების მიღება ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და ხარისხის გასაძლიერებლად. 2. ადეკვატური საცხოვრებლის უფლების გარანტირების მიზნით, სახელმწიფომ შექმნას ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული ჩარჩო, მათ შორის, მიიღოს ეროვნული საბინაო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.
ლაოსის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა	1.გაძლიერდეს ბავშვთა კეთილდღეობისა და განვითარებისთვის პრიორიტეტულობის მინიჭების ზომები. 2. გაძლიერდეს ადამიანებით, განსაკუთრებით, ქალებითა და გოგონებით ვაჭრობის პრევენციისა და მასთან ბრძოლის საკანონმდებლო და ეროვნული პოლიტიკა. 3. გადაიდგას ნაბიჯები მამაკაცებსა და ქალებს შორის თანაბარი დასაქმების შესაძლებლობების ხელშეწყობისა და გენდერული ძალადობის პრევენციის მიმართულებით.
ლატვია	1. საქართველომ გადახედოს კანონმდებლობას, რომელიც ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას, გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების უფლებებს, ასევე, უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა დარღვევებზე პასუხისმგებლობის ზომების გატარება და მსხვერპლთათვის სამართლიანობის აღდგენა. 2. სახელმწიფომ უზრუნველყოს უსაფრთხო და ხელსაყრელი გარემოს შექმნა ჟურნალისტებისთვის, მათ შორის, ონლაინ მედიის წარმომადგენლებისთვის, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის. 3. გატარდეს ყველა საჭირო ზომა სექსუალური ორიენტაციისა ან გენდერული იდენტობის საფუძველზე დისკრიმინაციის, შევიწროებისა და თავდასხმების წინააღმდეგ საბრძოლველად.
ლიბანი	1. გაგრძელდეს ძალისხმევა ადამიანებით ვაჭრობის საქმეების ეფექტიანი გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიმართულებით, გაუმჯობესდეს მსხვერპლთა იდენტიფიცირების პროცედურები, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ტრენინგების დაგეგმვისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების გზით. 2. განხორციელდეს ცნობიერების ამაღლების ეროვნული კამპანია ინკლუზიურობის ხელშეწყობის, ბავშვებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ სოციალური სტიგმის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით. 3. გაგრძელდეს და გაძლიერდეს ძალისხმევა ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით.
ლესოთო	1. გაგრძელდეს მუშაობა დაუცველი ჯგუფების მიმართ სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით, საგამოძიებო შესაძლებლობების გაძლიერებისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის გზით. 2. ჩატარდეს იუსტიციის სექტორის ყოვლისმომცველი რეფორმა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. 3. საქართველომ უზრუნველყოს ჟურნალისტების, ადამიანის უფლებათა დამცველებისა და მშვიდობიანი მომიტინგეების დაცვა ძალის გადაჭარბებული გამოყენებისგან, გამოიძიოს დარღვევები და შესაბამისი რეაგირებით უპასუხოს დაშინებისა და შევიწროების შემთხვევებს.
ლიბია	1. გაგრძელდეს ქალთა გაძლიერებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობისკენ მიმართული ძალისხმევა. 2. გაგრძელდეს ადამიანის უფლებების შესახებ განათლებისა და ცნობიერების ამაღლების პროგრამები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებისთვის.

ლინხტენშტეინი	1. გაუქმდეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები. 2. ჩატარდეს სწრაფი, დამოუკიდებელი და საფუძვლიანი გამოძიება საზოგადოებრივი პროტესტების კონტექსტში ადამიანის უფლებების დარღვევის ყველა ბრალდებაზე, მათ შორის, თვითნებურ დაპატიმრებებსა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის გამოყენებაზე. 3. გატარდეს მართლმსაჯულების სექტორის ყოვლისმომცველი რეფორმა ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად, სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულებისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. 4. აღიჭურვოს სახალხო დამცველის ოფისი საკმარისი ადამიანური და ფინანსური რესურსით, რათა მან ეფექტიანად და დამოუკიდებლად განახორციელოს საკუთარი მანდატი პარიზის პრინციპების შესაბამისად.
ლიეტუვა	1. გათავისუფლდეს უკანონოდ დაკავებული ყველა პირი, მათ შორის, ჟურნალისტი მზია ამაღლობელი. 2. საქართველომ უზრუნველყოს მიუკერძოებელი, ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, სისხლისსამართლებრივი დევნა და პასუხისმგებლობის დაკისრება სამართალდამცავი ორგანოების მიერ მომიტინგეებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ძალის გადაჭარბებული გამოყენების, არასათანადო მოპყრობის, წამების ფაქტებსა და სხვა ინციდენტებზე. 3. შესრულდეს ვენეციის კომისიის ყველა რეკომენდაცია. 4. გაუქმდეს უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა და უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ კანონები. 5. სახელმწიფომ უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრების უფლების რეალიზება და გააუქმოს კანონმდებლობა, რომელიც მას ზედმეტად ზღუდავს.